გადარჩენილი ქულა

ორჯონიკიძე. “სპარტაკის” სტადიონი. 16 ივნისი.

“სპარტაკი” (ორჯონიკიძე) - “დინამო” (თბილისი) - 1:1 (1:0).

“სპარტაკი”: ოლეინიკი, ბიჩიკოევი, პლიევი, ხუდიევი, კოჩიევი, კაიტუკოვი, ტუაევი, კაიშაური, პაპელიშვილი, ზაზროევი (ტარასიანი), მაჟოხინი (ძაგოევი).

“დინამო”: ურუშაძე, ხინჩიგაშვილი, რეხვიაშვილი, კანთელაძე, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ილიადი, მაჩაიძე (მჭედლიშვილი), გავაშელი, ლ. ნოდია.

მსაჯი: ს. არხიპოვი (მოსკოვი).

დუბლიორები - 1:0 “სპარტაკის” სასარგებლოდ.

მატჩი ერთობ მწვავედ დაიწყო. თამაშის პირველივე წუთზე სპარტაკელთა დებიუტანტმა მაჟოხინმა ზედიზედ სამჯერ შეუტია “დინამოს” კარს, მაგრამ იღბლად ბურთმა მიზანს ვერ მიაღწია. თბილისელთა კართან კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ხან მცველებმა და ხან ურუშაძემ გუნდი იხსნეს. თამაშის 21-ე წუთზე დინამოელებს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა მიეცათ. სპარტაკელთა მეკარემ ოლეინიკმა ბურთი შეცდომით გავაშელს გადააწოდა, ამ უკანასკნელის დარტყმა ასცდა კარს.

პირველი წარმატება მაინც მასპინძლებმა მოიპოვეს. 28-ე წუთზე გოლი თავური დარტყმით გაიტანა მაჟოხინმა, როცა კაიშაურთან ერთად ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშა. შესვენებამდე ორივე გუნდს ჰქონდა გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ეს მათ ვერ შეძლეს.

შესვენების შემდეგ ინიციატივას თბილისელები დაეუფლნენ. ისინი ხშირად უტევდნენ მასპინძელთა კარს. ერთ-ერთი ასეთი შეტევის დროს ილიადიმ შორიდან ძლიერად დაარტყა (59-ე წუთი). მართალია, ოლეინიკმა შეძლო ბურთის მოგერიება, მაგრამ შემდეგ ხელიდან გაუვარდა იგი. ბურთს მიუსწრო იქვე დადარაჯებულმა პეტრიაშვილმა და ზუსტი დარტყმით სპარტაკელთა კარში გაგზავნა - 1:1.

ჯ. ძუკაევი (ჩვენი კორ.).
“ლელო”, 18 ივნისი, 1970 წ.